აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება
საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო
სისტემების მართვის დეპარტამენტი

N 1326
18/06/2018

1326-07-2-201806181300

www.Factcheck.ge -ს

ანალიტიკოსს ქალბატონ ნაზიბროლა რეხვიაშვილს

ქალბატონო ნაზიბროლა,

თქვენს მიერ ამა წლის 12 ივნისს მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება ქობულეთის მუნიციალიტეტში ს/გზა „ალამბარი-ზენითი“ კმ0+000-კმ4+800 მონაკვეთზე 2016 წელს ასფალტბეტონის საფარის მოწყობას და 2018 წელს გზის რეკონსტრუქციას, გაცნობებთ, რომ აღნიშნულ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით სრული ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე www.spa.ge:

2016 წლის ელექტრონული ტენდერი SPA150035735;

2018 წლის ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე NAT180004384.

ზემოთაღნიშნულ ტენდერებში მოცემული ინფორმაცია პასუხობს თქვენს მიერ წერილში დასმულ 8 შეკითხვიდან 3 შეკითხვას (კონკრეტულად რა სამუშაოები განხორციელდა 2016 წლის ხელშეკრულების ფარგლებში და რა დაჯდა ამ სამუშაოების განხორცილება; როდის დასრულდა სამუშაოები და როდის შევიდა ექსპლუატაციაში გზის აღნიშნული მონაკვეთი; როდის უნდა დაიწყოს და დასრულდეს ეს სამუშაოები).

წერილში დასმულ სხვა 5 შეკითხვასთან დაკავშირებით, დამატებით გაცნობებთ, რომ:

ა) იმავე მონაკვეთზე ტენდერის გამოცხადების წინაპირობა გახლდათ გზის დაზიანებები, რომელიც გამოწვეული იყო გასული წლის შემოდგომა-ზამთრის პერიოდში განვითარებული სტიქიური მოვლენებით;

ბ) ამ ტენდერის გამოცხადების თაობაზე მოსახლეობის მომართვა არ ყოფილა;

გ) აღნიშნული სამუშაოები 2016 წელს დაფინსდა/2018 წელს ფინანსდება აჭარის ა/რ რესპუბლიკური ბიუჯეტიდან;

დ) დეპარტამენტის დაქვემდებარებაში არსებული საავტომობილო გზებიდან თუ რომელზე უნდა ჩატარდეს სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, პრიორიტეტი ენიჭება ისეთ გზებს, რომლებიც აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს: გზის დაზიანების ხარისხი, გზის ინტენსივობა, მოსახლეობის სიმრავლე და სხვა ეკონომიკური ფაქტორები. თითოეულ საგზაო მონაკვეთთან დაკავშირებით დეპარტამენტის შესაბამისი

სამსახურების მიერ ხდება საკითხის შესწავლა/დამუშავება/განხილვა და სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში შეტანა.

არჩილ ჩიქოვანი

დეპარტამენტის უფროსი